ქ. წალენჯიხა 08 ივნისი 2022 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი

2022 წლის 8 ივნისს გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რომან კვარაცხელია. ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თენგიზ ფიფია, მაია მიქავა, გიორგი დარსალია, მამუკა მიქავა.

დაწყების დრო: 10:30-სთ.
დასრულების დრო: 10:35-სთ

დღის წესრიგი:

1. **განცხადებების განხილვის თაობაზე.**

სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რომან კვარაცხელიამ განიხილა განცხადებები, რომელიც შეეხებოდა სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის წევრის ნანა ქობალიას განცხადებას, ამავე კომისიის შემადგენლობიდან გამოსვლის თაობაზე და საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ავთანდილ გაბელიას წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიაში გაწევრიანების შესახებ. ამ პროცესით არ იცვლება კომისიის შემადგენლობა და არც ფრაქციათა წარმომადგენლობითი კვოტირება კომისიებში. კომისიის წევრებმა წარმოდგენილი განცხადებები მიიღეს ცნობად და აღნიშნეს, რომ ამის თაობაზე უნდა ეცნობოს საკრებულოს უახლოეს სხდომას.

სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რომან კვარაცხელია